პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მოხდება საკონცერტო დარბაზ „ივერია“-ს სახურავის შეკეთება; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში და სამხატვრო გალერიაში ოთახების სარემონტო სამუშაოები; ქ. წყალტუბოში, კოსტავას ქ #4 ბინის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა - ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია; მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაცია; ქ. წყალტუბოში, ცივი ტბის მიმდებარედ ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ავარიული შენობების საგარანტიო თანხების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი			

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	--------------------------------------------	----------------------------------



	02 05		450,6
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამნათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსებით საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		1 118,2
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, • წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება; 		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული შენობების რეაბილიტირებული ფასადები , საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		40,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე; • მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება. 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		260,4



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. წყალტუბოში ჭავჭავაძისა და თამარ მეფის ქუჩებზე, ასევე თბილისის ქ. №1 და ჩოლოყაშვილის ქ. №1 ბინებთან სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება - რეაბილიტაცია მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 04		817,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია;		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე; • ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქი. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		759,7
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგარანტიო თანხების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		73,0



პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. რისთვისაც პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება.		
პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		199,8
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო სტანდარტებს.		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 537,1 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 537,1	20,9	1 516,3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0,0	0,0	0,0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	53,3	0,0	53,3
03 03	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1 050,9	0,0	1 050,9



03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	349,0	20,9	328,1
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერები	84,0	0,0	84,0

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		53.3
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები		

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 03		1050,9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> გაუმჯობესებული სანიტარული პირობები; მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		349,0
პროგრამის განმახორციელებელი			



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროექტის ფარგლებში განხორციელდება მნიშვნელოვანი საქმიანობა ნარჩენების სეპარირებული შვრევის დანერგვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამოყენებით.</p> <p>პროექტის ფარგლებში იგეგმება ერთი ნაგვშიდისა და სეპარირებისთვის საჭირო 60-მდე ბუნკერის შექმნა, 10 საკომპოსტე მოედნის მოწყობა, ცნობიერების ამაღლების მიზნით საგაზაფხულო ბანაკების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება, პროექტი ასევე ითვალისწინებს ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა თანმხლები ღონისძიებები.</p> <p>პროექტი ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების რეალიზაციას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას, ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობისა და პარტნიორობის გამდიერების გზით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> გაუმჯობესებული იქნება გარემო;

პროგრამის დასახელება	კოდი 03 05	ნაგავშემკრები კონტეინერები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში 84,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. 		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 151,7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



04 00	განათლება	3 151,7	451,7	2 700,0
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2 700,0	0,0	2 700,0
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	451,7	451,7	0,0

პროგრამის დასახელება	კოდი	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2700,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი 1850 აღსაზრდელით. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელი პროგრამა / მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უზრუნველყოფის მიზნით ბაგა - ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება.		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		451,7
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დეველოპირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით პროგრამის ფარგლებში am etapze ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	დეველოპირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლების ხელშეწყობა		



მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 899,6 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2 899,6	0,0	2 899,6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 470,9	0,0	1 470,9
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	27,2	0,0	27,2
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 443,7	0,0	1 443,7
05 01 02 01	წყალტუბო არენა	140,0	0,0	140,0
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	565,0	0,0	565,0
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	738,7	0,0	738,7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 427,9	0,0	1 427,9
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 250,5	0,0	1 250,5
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	500,5	0,0	500,5
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	650,0	0,0	650,0
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	100,0	0,0	100,0
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	77,4	0,0	77,4
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	0,0	100,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	0,8	0,0	0,8



პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1470,9
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		27,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, როგორცაა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება; სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; შშმ სპორტსმენებისათვის ტურნირებზე მივლინება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისათვის დიპლომების ბეჭდვის მომსახურება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში; სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა; ქალთა საერთაშორისო დღისდადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; გურამ ქურასხედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი; შალვა ზუიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მიუდომი (საერთაშორისო); სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მარათონი; სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი; ნოდარ კობრიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში; დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბ/რმ ჭიდაობაში; ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის; როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში (საერთაშორისო); ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი კერძო და საჯარო სკოლებს შორის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სექციის სპორტსმენებისათვის ფორმებისა და სპორტული ინვენტარის შესყიდვა.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		1443,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გადმაცემის, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.		



მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა
--------------------	-------------------------------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბო არენა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		140,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო არენა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		565,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, რომელთაც ეუფლება 420 სპორტსმენი.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული კლუბებით და სექციებით სარგებლობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 04		738,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მოწყობა სოფელ მუხიანში ქაჭარის უბანში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში. ასევე განხორციელდება ცენტრალურ სტადიონზე გასახდელებისა და საშხაპეების შენობის გადახურვა; ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური სტადიონის შემოღობვა, ტრიბუნებისა და მაყურებელთა სკამების მოწყობის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში ორი მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ქალაქ წყალტუბოში რაგბის მოედნის მოწყობის სამუშაოები.		
	გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		



	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1427,9
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1250,5
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		500,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები და მათი თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		650,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 28 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები .		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	ტურისტული ზონის, როგორც რეკრეაციული , ბალნეოლოგიური და სამკურნალო ტურიზმის კომპლექსის მიმზიდველი იმიჯის ფორმირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		77,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, საშობაო ღონისძიება, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულთა დაჯილდოვება, ტრანსპორტირება, აგრო ტურისტული ფესტივალი, სასწავლო წლის დაწყება, ხელოვნების დღეები წყალტუბოში, მოწვევა, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილი, სიყვარულის დღე, გენდერული თანასწორობა, ქართული სამოსის დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 2 მაისობა (გვირილობა), ბავშვთა საერთაშორისო დღე, სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სახალხო დღესასწაული „ოტაობა“, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ღვინის და ყველის ფესტივალი, სოხუმის დაცემის დღე, სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო, პოეზიის საღამო, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშურების, წიგნების, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურება; სახალხო ღონისძიება; სახალხო საჩუქრები.
მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.		
მოსალოდნელი შედეგი	ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.		

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 797,1 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 797,1	67,8	1 729,3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	131,8	64,8	67,0



06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	131,8	64,8	67,0
06 02	სოციალური პროგრამები	1 665,3	3,0	1 662,3
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	249,6	0,0	249,6
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	3,0	0,0	3,0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	105,0	0,0	105,0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	13,0	3,0	10,0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	548,4	0,0	548,4
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	140,5	0,0	140,5
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	553,8	0,0	553,8
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	52,0	0,0	52,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		131,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		249,6



ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2020 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინმიტანის სერვისი, რომელიც დაიწყო 2020 წლიდან.
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		3,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიული დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		105,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65 000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი. ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით. ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ პუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზე, რომელთა შვილები დაიბადა 2020-2021 წლებში და არ აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		13,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, ასევე უჭირისუფლო გარდაცვლილების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, თითოეულზე 250 ლარის ოდენობით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		548,4

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
--------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------	--	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 65000-დან 100001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობს საარსებო შემწეობას განესაზღვროს დახმარება - 250 ლარი.</p> <p>ბ) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება – 500 ლარი;</p> <p>გ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება – 350 ლარი;</p> <p>დ) დედ-მამით ობოლი ბავშვის დახმარება – 500 ლარი;</p> <p>ე) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 500 ლარი;</p> <p>ვ) ა(ა)იპ „სათნობის სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღდგომოდ 100 ლარი და სახანაწლოდ 100 ლარი.</p> <p>ზ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 250 ლარი;</p> <p>თ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება –1800 ლარი;</p> <p>ი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერებრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი;</p> <p>კ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონკუსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიღების დახმარება 350 - ლარი;</p> <p>ლ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.</p> <p>მ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;</p> <p>ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უზედურების, უზედური შემთხვევის ან სხვა გარემოების გამო) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაეცმა თვეში არაუმეტეს 150 ლარისა, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარისა.</p> <p>ო) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დაარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაეცმა თვეში არაუმეტეს 150 ლარი, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარი.</p> <p>პ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი.</p> <p>ჟ) 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 100 ლარის ოდენობით.</p>		
